6437/4-15/21 2 25062021

6437/4-15/21
25-06-2021

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და

ინფრასტრუქტურის მინისტრს

ბატონ ირაკლი ქარსელაძეს

ბატონო ირაკლი,

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა მიმდინარე წლის 16 - 17 ივნისს, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გასვლითი სხდომა გამართა.

კომიტეტის წევრებმა ბორჯომის, ახალციხესა და ასპინძის მუნიციპალიტეტებში დაათვალიერეს არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა, განიხილეს მიმდინარე პროექტები და მშენებარე ობიექტები.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, მოგმართავთ კითხვით და გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია ქ. ახალციხეში ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 62.09.54.718 სპორტული კომპლექსის მშენებლობის მიზნით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. კერძოდ, შპს „კარკასი“-ს მიერ განხორციელებული ქალაქ ახალციხეში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპორტული კომპლექსის შენობის შექმნისათვის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ამავე დოკუმენტაციის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოებისათვის საავტორო ზედამხედველობის გაწევის მომსახურების თაობაზე.

ასევე გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია/დოკუმენტაცია შპს „კარკასი“-ს მიერ განხორციელებული საქართველოს მთავრობის 2017 წლის 9 მარტის N438 განკარგულების საფუძველზე მუნიციპალიტეტებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით საცურაო აუზის ტიპიური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების თაობაზე. მათ შორის, ქ. ქუთაისში, ქ. ზუგდიდსა და ქ. ფოთში საცურაო აუზის მშენებლობის მიზნით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ ყაველაშვილი